კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის ანგარიშის განმარტებით ბარათი

საპროექტო ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, დოდაშვილის ქუჩა N22/18) დადგენილი კოეფიციენტი იყო კ2=2.5-ს. ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 14 იანვრის N499997 გადაწყვეტილების საფუძველზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი გაიზარდა 1.5-ით და განისაზღვრა კ2=4.0;

პროექტის დამუშავების სტადიაზე აღმოჩნდა, რომ განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ2) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში არის კ2=4.8 და არქიტექტურის სამსახურს მივმართეთ NAR1113830 განცხადებით; 2013 წლის 21 მარტის N582190 გადაწყვეტილების საფუძველზე კ2 კოეფიციენტი გაიზარდა 4.8-მდე.

პროექტის დამუშავების შედეგად პროექტმა მოითხოვა კ2-ის გაზრდა კ2=4.9-მდე; არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 19 აპრილის N643001 გადაწყვეტილებით განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2 გაიზარდა კ2=4.9-მდე.

ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების შესაბამისად სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის თანხა იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

L/K2 X (K¹2 – (K2+20% შეღავათი)) X შ

სადაც: L არის მიწის ნორმატიული ფასი 1 კვ.მ.-ზე;

K2 არის მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი;

K¹2 არის მიწის ნაკვეთისათვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მისანიჭებელი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი;

შ არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობი;

დედაქალაქის ტერიტორიაზე მიწის ნორმატიული ფასის და სასყიდლიანი სარგებლობის საწყისი წლიური ქირის ოდენობის დადგენის შესახებ თბილისის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე მიწის ნორმატიული ფასი არის 34 ლარი (აღნიშნული ფასი არ შეცვლილა კ2 კოეფიციენტის გაზრდის შესახებ 2013 წლის 14 იანვრის N499997 გადაწყვეტილების მიღებიდან ბოლო - 2013 წლის 19 აპრილის N643001 გადაწყვეტილების მიღებამდე). შესაბამისად, მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს:

34/2.5 x (4.9 – (2.5+0.5)) x 4853 = 125 401.52 ლარი.

მოსაკრებლის თანხა ამხანაგობის მიერ გადახდილ იქნება ერთდროულად, არაუგვიანეს 2014 წლის 22 აპრილისა.

პასუხისმგებელი პირი: ამხანაგობა „ისნის სავანე“-ს თავმჯდომარე

ბარიამ შპორტ